პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 20 (1034) | ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

ვიბრძოლოთ დიდი ფეხბურთისათვის

სულ მალე დადგება სანატრელი და მღელვარე დღეები — დაიწყება საბჭოთა კავშირის პირველობა, საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში. სეზონის ამ ყველაზე საინტერესო და ხანგრძლივი შეჯიბრებისათვის უკვე გაიშალა მზადება ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში. მიმდინარეობს გუნდების დაკომპლექტება, შევსება და წვრთნა, ბეჯითი, ენერგიული წვრთნა.

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალს „ა“ და „ბ“ კლასის ოსტატთა გათამაშებას, საქართველოს პირველობას, კარგად იციან გასული წლის შედეგები. ამაზე ჩვენ ლაპარაკს არ დავიწყებთ და კიდევ ერთხელ არ შევახსენებთ მათ იმ გაცრუებული იმედებით აღსავსე დღეების სიმწარეს. დაძაბულ ბრძოლებით სავსე სეზონი წინ გვიძევს და საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გასული წლის შეცდომები აღარ გამეორდეს.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი სეზონისათვის მზადებას ადრევე შეუდგა, გუნდის ყოველი წევრი მობილიზებულია, ენერგიულად ემზადება და გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს უკეთესი მაჩვენებლებისათვის, იმისათვის, რათა „დინამომ“, საბჭოთა კავშირის ერთ დროს ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, დაიბრუნოს თავისი სახელი და მტკიცედ ჩადგეს მოწინავეთა რიგებში. სასიხარულოა ის, რომ გუნდში მოვიდა ნიჭიერი თაობა, რომელთანაც ბეჯითი მუშაობის შედეგად ჩვენ მივიღებთ პირველხარისხოვან შევსებას.

წარმატებით ემზადება აგრეთვე თბილისის ოფიცერთა სახლის კოლექტივი, რომელიც 27 მარტს სსრ კავშირის თასის გათამაშებაში შეხვდება ერევნის „სპარტაკს“. მიმდინარე სეზონში „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდების ტურნირში ჩაებმება ქუთაისის გუნდიც. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის განყოფილების მიერ დაგეგმილია თბილისის „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის საერთაშორისო მატჩები. საინტერესო იქნება აგრეთვე საქართველოს პირველობაც, რომელშიც რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის გუნდი მონაწილეობს (სხვადასხვა ჯგუფში).

ერთი სიტყვით, მიმდინარე წლის სეზონი უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე წინა წლებში. რესპუბლიკის მშრომელები მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როდესაც ბურთი აიჭრება ჰაერში და ამწვანებულ მინდვრებზე გამოვლენ ნაირფერადი მაისურებიანი ფეხბურთელები.

მაგრამ, ვიდრე სეზონი დაიწყებოდეს, საჭიროა ერთხელ კიდევ გადავხედოთ გუნდების არა მარტო ტექნიკური, არამედ იდეური მომზადების დონესაც. დასამალი არაფერია, გასულ წელს ფეხბურთის მოედანზე უამრავი ალმაშფოთებელი ფაქტი მოხდა. არასპორტული საქციელი ჩაიდინეს არა მარტო საქართველოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების წევრებმა, არამედ ოსტატებმაც. ამის შესახებ ბევრი ითქვა და დამნაშავეებს სათანადო სასჯელიც მიეზღოთ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი მუშაობის ამ უბანზე უკვე ყველაფერი რიგზეა და დამშვიდებით შეგვიძლია ჩავებათ გათამაშებაში. ფეხბურთელებში პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად. რესპუბლიკის მშრომლები მოითხოვენ მოედანზე მაღალტექნიკურ ფეხბურთს და არა მუშტი-კრივს, მსაჯისა და მაყურებლისადმი ხულიგნურ გამოხდომებს.

გუნდების ხელმძღვანელობა და პირველ რიგში მწვრთნელები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი აღზრდილის მოქმედებაზე. ამიტომ ისინი მოვალენი არიან გამოცდილების გაზიარების დროს, საკმარისი ადგილი დაუთმონ აღსაზრდელთა შორის ჯანსაღი მორალური თვისებების დანერგვას, გამარჯვების მოპოვებას ვაჟკაცური გზით.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სპორტული ბაზების დირექციებმა დროულად უნდა დაამთავრონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. ბაზა სრულ წესრიგში უნდა დახვდეს მაყურებელს. მიმდინარე სეზონში განსაკუთრებით მაღალ დონეზე უნდა დავაყენოთ რადიოინფორმაციის საქმე. იგი მარტო სპორტული ინფორმაციის გადაცემას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მატჩის წინ და შესვენებისას მაყურებელს აცნობდეს ფეხბურთის თამაშის წესებს. ჩვენ გვგონია ეს უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემს, ვიდრე მოძველებული ინფორმაციებით მაყურებლის ყურების გამოჭედვა.

დასასრულ, ერთი მეტად მტკივნეული საკითხიც. სტადიონზე მარტო ფეხბურთელი როდი არღვევს წესრიგს, სულ ხშირად უწესრიგობის ამტეხი მაყურებელიცაა. ჩვენს საბედნიეროდ, ასეთი ექსპანსიური მაყურებელი ძალზე ცოტაა, მაგრამ, როგორც ვიცით, მათი უწესრიგო საქციელი — უადგილო წამოძახილი, გადაჭარბებული ღელვა, არაობიექტურობა, ცუდად მოქმედებს მატჩის მსვლელობაზე. ასეთი ადამიანები უნდა ავლაგმოთ და წესრიგისაკენ მოვუწოდოთ. კარგი იქნება, თუ ამ საკითხზე ჩავატარებთ საუბრებს კომკავშირულ-ფიზკულტურულ ორგანიზაციებში.

ფეხბურთის სეზონი უნდა ჩავატაროთ სანიმუშოდ, ისე, რომ წლის ბოლოს ჩვენი გუნდები მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდნენ. ხოლო მაღალი კლასის ფეხბურთელთა არსენალი ერთი-ორად გაიზარდოს. ასეთია ამოცანა, რომელიც უნდა გადაჭრან რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა.

სურათებზე: ზევით — 15 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული მესტიელი სპორტსმენი ა. ჯაფარიძე დისტანციაზე. ქვევით — ორჭიდელთა შეჯიბრების მონაწილენი ჩაებნენ ბრძოლაში. შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს?

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ბუნებრივია, რომ XV ტურში მაყურებელთა უმეტესობის ყურადღება სწორედ იმ პარტიებისაკენ იყო მიმართული, რომლებშიც ლიდერობის ბედი წყდებოდა. ამ შეხვედრებში კი ნამდვილად ადგილი ჰქონდა ამაღელვებელ მომენტებს. ავიღოთ თუნდაც ხოლმოვ-გურგენიძის პარტია. დაუმარცხებელმა ხოლმოვმა (როგორც იგი ამ ტურნირში მონათლეს) დებიუტში მცირე უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ გურგენიძემ მოახერხა ლაზიერით და ეტლით მოწინააღმდეგის ბანაკში შეჭრა. ხოლმოვს შამათი მოელოდა. ამიტომ იძულებული იყო ეტლი დაეთმო, რის შემდეგ თვითონ გადავიდა იერიშზე. გურგენიძე ჩინებულად აწარმოებდა დაცვას, მაგრამ, როდესაც ხოლმოვი მას ერთ სვლაში შამათით დაემუქრა, მოხდა სასწაული. მთელი დარბაზი განცვიფრებული დარჩა, როდესაც გურგენიძემ პაიკის წინ წაწევის ნაცვლად ზედმეტი ეტლი უკან დააბრუნა. რასაკვირველია, გურგენიძე მაშინვე მიხვდა შეცდომას და წამსვე მიიღო შეთავაზებული ყაიმი. ასე ადვილად გადარჩა ხოლმოვი უსიამოვნებას.

ბანიკ-პეტროსიანის, ტოლუშ-არონინისა და მიკენას-სპასკის პარტიებში მე-10 სვლამდე სიცილიური დაცვა ერთნაირად გათამაშდა. არონინმა თავიდანვე თამაში დაცვის ყაიდაზე წაიყვანა. ეს მისი ფსიქოლოგიური შეცდომა იყო, რადგან ტოლუში სწორედ იერიშის შესანიშნავი ოსტატია. გროსმაისტერმა არ დააყოვნა ხელსაყრელი ვითარების გამოყენება და ხარისხის შეწირვით შეუტია არონინის ცენტრში დარჩენილ მეფეს. 33-ე სვლაზე არონინი დანებდა. პეტროსიანმა გადაწყვიტა თვითონ დაეუფლებოდა ინიციატივას. მან რამდენიმე გაბედული სვლა გააკეთა, მაგრამ ჩამორჩა განვითარებაში. ბანიკმა ეს გარემოება მოხდენილად გამოიყენა. პაიკის შეწირვით გახსნა ხაზები და თავს დაესხა პეტროსიანის მეფეს. უკვე 24-ე სვლაზე ბანიკმა ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა. დებიუტმა მხოლოდ სპასკის გაუმართლა. მძაფრ შეტაკებაში თუმცა გროსმაისტერის მეფე, ისე, როგორც არონინისა და პეტროსიანისა, ცენტრში დარჩა, მაგრამ მან უფრო სამშვიდობო ადგილს შეაფარა თავი. ამიტომ ჭაბუკი გროსმაისტერის ინიციატივა სულ უფრო აშკარა ხდებოდა. კრიტიკულ მომენტში სპასკიმ პატარა კომბინაციით მოიგო ფიგურა და მიკენასი დანებდა.

ტალმა სიცილიურ დაცვაში, რომელიც ჩვეულებრივ თეთრებს შეტევის ინიციატივას აძლევს, კლამანს ცენტრალური პაიკი მისცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ლენინგრადელი აყვანის შემთხვევაში მზად უნდა იყოს გაუძლოს ტალის ძლიერ იერიშს. კლამანმა აიღო პაიკი. შემდეგ ტალმა კლამანს შეწირა ჯერ ფიგურა, მაგრამ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ ეტლის კუში დათმობით იგი მიიჭრა მეტოქის მეფესთან. ჩაფიქრდა კლამანი და დიდი მატერიალური ზარალის გამო 33-ე სვლაზე დანებდა.

ამ ჩემპიონატში ტაიმანოვის თამაშში არ იგრძნობა ის მახვილი საჭადრაკო თვალი, რომელიც გროსმაისტერს ახასიათებს. ტარასოვთან იგი, როგორც ადრე ტალთან, დაგებულ მახეში გაება. ტარასოვმა კარგად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. ყაიმით დამთავრდა ნეუმეტდინოვ-ფურმანის პარტია.

კერესი არონინთან არ ერიდებოდა მრავალრიცხოვან გაცვლებს. მაგრამ როდესაც ბრძოლა ენდშპილში გადავიდა, გროსმაისტერმა ვირტუოზული ტექნიკა გამოავლინა. მან სრულიად თანაბარ მდგომარეობაში მოგების შანსები შექმნა. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა.

გადადებულია აგრეთვე კორჩნოი-ბოლესლავსკის და ბრონშტეინ-სტოლიარის პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრების დღემ გარკვეულობა შეიტანა სატურნირო ცხრილში. გულდასმითი ანალიზის შემდეგ კორჩნოი-ფურმანი, სპასკი-ანტოშინი და სტოლიარ-ტალი დარწმუნდნენ რა მათ პარტიებში შეწყვეტილი პოზიციების თანასწორობაში, თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ორიოდე სვლა გაკეთდა მიკენას-ტაიმანოვის პარტიაში, სადაც აგრეთვე ყაიმი იყო ფიქსირებული.

შეუპოვრად მიმდინარეობდა ბოლესლავსკი-ტალისა და გურგენიძე-ტარასოვის პარტიების დამთავრება. ბოლესლავსკი მეთოდურად წინ სწევდა გამსვლელ პაიკს. ყველა ღონე იხმარა ტალმა, რათა შეეჩერებინა თეთრების შეტევა. მაგრამ 94-ე სვლაზე მაინც დამარცხდა. სხვათა შორის ეს პარტია ჩემპიონატში სარეკორდოა სვლების რაოდენობის მხრივ.

გურგენიძეს ტარასოვთან შეწყვეტილ პოზიციაში თუმცა ორი პაიკი აკლდა, მაგრამ ფიგურების აქტიური განლაგება ჰქონდა. მრავალი ოსტატი ეჭვს გამოთქვამდა მოგების შესაძლებლობაზე. მაგრამ თამაშის განახლებისას ქართველმა ოსტატმა ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი ფიგურების მოქნილი განლაგება და 64-ე სვლაზე მოიპოვა გამარჯვება.

კერესმა და ბრონშტეინმა მათთვის ჩვეული ოსტატობით გამოიყენეს მცირე უპირატესობანი არონინისა და სტოლიარის წინააღმდეგ და თავიანთ ნადავლს თითო ქულა მიუმატეს.

XV ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობენ პ. კერესი (10 ქულა), დ. ბრონშტეინი, მ. ტალი, ა. ტოლუში (9.5 ქულა თვითეულს).

* * *

ოთხი შედეგის ჯამში

ფინეთის ქ. იმატრაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის ციგურებით რბენაში. მონაწილეობდნენ: პოლონეთის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის, შვეციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის მოციგურეები.

შეჯიბრების პირველი დღე 500 მეტრზე რბენით დაიწყო. შესანიშნავად გაირბინა ეს დისტანცია მსოფლიო ჩემპიონმა ს. კონდაკოვამ (48,8 წამი), რომელიც I ადგილზე გავიდა. II-III ადგილზე გავიდნენ თ. რილოვა და ი. არტამონოვა (49 წამი თვითეულს).

საინტერესო გამოდგა რბენა 1500 მეტრზე. ამ დღეს ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა ი. არტამონოვამ (2.37 წამი).

ჩემპიონატის მეორე დღეს 1000 მეტრზე I ადგილი დარჩა ი. არტამონოვას (1.39,9 წამი), ხოლო 3.000 მეტრზე რბენაში დროის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ხუტონენს (5.33,8, ფინეთი).

ოთხი დისტანციის ჯამში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ინგა არტამონოვამ (101,333 ქულა), მეორე ადგილი დაიკავა თ. რილოვამ (101,833 ქულა), მესამე — ლ. სელიხოვამ (102,167 ქულა).

ვნახოთ ჭიათურა მოწინავეთა რიგებში

ეროვნული ბიბლიოთეკა





მთები მორჩილად იტანენ ტვირთს. მოვიდნენ ადამიანები, ააფეთქეს, გული გამოსჭრეს და ახლა მზის სინათლეზე გამოაქვთ მიწის წიაღში საუკუნეობით ჩამარხული საუნჯე. საჰაერო საბაგირო გზაზე მარგანეცით დატვირთული ბუნკერები, თითქოს ერთმანეთს ვამოსდევნებიანო, მძიმედ მისრიალებენ გამამდიდრებელი ფაბრიკებისაკენ. მაღაროებში დღედაღამ გაისმის სანგრევი მანქანების ხმაური, მარგანეცით დატვირთული შემადგენლობების გრიალი.

და როცა გარჯანახული, დღევანდელი შრომით კმაყოფილი, ჭიათურელი მაღაროელები ცვლის დამთავრების შემდეგ ოჯახებს მიაშურებენ, ხარბად იკლავენ მიწის ზევით, სუფთა, ჯანსაღ ჰაერზე, მზის სინათლეზე ცხოვრების წყურვილს. ვინ კინოში, ვინ თეატრში, ვინ მეგობართან შეხვედრაზე მიიჩქარის, ვინ კიდევ — ფეხბურთის მატჩზე, რომელიც ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მოედანზე არის დანიშნული.

— დღეს ამინდს კარგი პირი არ უჩანს, გავიწუწებით, — აფრთხილებს ელმავლის მემანქანე ქ. ვაფრინდაშვილი ლენინის სახელობის მაღაროს დისპეტჩერს ა. შარვაძეს.

— არა უშავს, სადაც სხვები, იქ ჩვენც...

და მიდიან ჭიათურელები ქალაქის ცენტრს 8 კილომეტრით მოშორებულ ფეხბურთის მოედანზე მანქანებით, ფეხით. ამინდი ზოგჯერ მართლაც ვერაგობს და თავიდან ფეხამდე გაწუწულები ბრუნდებიან, გზაზე ხმამაღლა საყვედურობენ ღმერთს, კაცს, საკუთარ თავს, რომ ამ დღეში ჩავარდენ და პირობას დებენ კვლავ ფეხბურთის მოედნისაკენ თვალითაც არ გაიხედონ. მაგრამ დგება მორიგი მატჩის დღე და სპორტისადმი სიყვარულს კვლავ თავისი გააქვს. ჭიათურელი სპორტის მოყვარულები კვლავ არ უწევენ ანგარიშს არც მანძილს, არც ამინდს...

და კვლავ არც მათ უწევენ ანგარიშს ზოგიერთი მუშაკები „ჭიათურმშენიდან“.

აბა რა არის, რომ ოთხი წელია საშველი არ დააყენეს სტადიონის მშენებლობას ქალაქის ცენტრში, ყვირილის ნაპირზე. სტადიონის მშენებლობისათვის ყვირილაზე უნდა აიგოს დაახლოებით 800 მეტრი სიგრძის ჯებირი. საამშენებლო მასალა ორჯერ მოზიდეს, მაგრამ უპატრონოდ მიატოვეს და მდინარის ტალღებმა წაიღეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯებირს ყვირილაზე მანამ ვერ ააგებენ, ვიდრე შიგ „ჭიათურმშენის“ მუშაკების სიზარმაცეს არ ჩაატანენ. ერთი ექსკავატორი, რომელიც ახლა აქ მუშაობს, ჯებირის მშენებლობის ტემპების უტყუარი ბარომეტრია, რომლის შკალაზე ასეთი დანაყოფიც არის — კუს ნაბიჯი.

სტადიონი კი, რომ იტყვიან, შვილივით სჭირდებათ ჭიათურელ სპორტსმენებს, რომლებიც თანდათან მეტი გამბედაობით მოიწევენ რესპუბლიკური სარბიელისაკენ. ჭიათურის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მაღაროელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მეცადინეობენ სექციები, იზრდებიან თანრიგოსნები, ვითარდება სპორტის ცალკეული სახეობები.

გასულ წელს ჭიათურის მეტალურგის ფეხბურთელებმა საქართველოს პირველობაზე მესამე ჯგუფის გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს და მეორე ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, ხოლო საქართველოს თასის გათამაშებაში მათ დაამარცხეს ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიცაა ზესტაფონის „მეტალურგი“, თბილისის ოფიცერთა სახლის პირველი გუნდი, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო. მწვრთნელმა ზ. ბარათაშვილმა ენერგიული მუშაობა გასწია ბრძოლისუნარიანი კოლექტივის შესაქმნელად. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ჭიათურის ფეხბურთელები ლ. ლებანიძე, ვ. მაჭავარიანი, ნ. ქურციკიძე, გ. ბლიაძე, დ. გურგენიძე და სხვები, რომლებიც თავდადებით შრომობენ მაღაროებში, მაღალი კლასის მოთამაშეები არიან, მაგრამ მათ უდავოდ დაიმსახურეს თავისი ქალაქის სპორტის მოყვარულთა სიმპატიები.

საქართველოს სპარტაკიადაზე შედარებით კარგად გამოვიდნენ ჭიათურელი მოჭიდავეები, მსროლელები. მათგან გ. ტეფნაძემ, შ. ბრეგვაძემ, შ. გაფრინდაშვილმა, შ. ბიჭაძემ და სხვებმა მეორე თანრიგის ნორმები შეასრულეს. ვერავინ იტყვის, რომ ჭიათურაში არ იყოს მოპოვებული პირველი მიღწევები სპორტის განვითარებაში. ყველაფერი ეს, რაც მიღწევათა შორის შეიძლება ამოატივონ ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ტატიშვილმა და „მეტალურგის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფიფიამ, ძალზე ცოტაა მაღაროელთა ქალაქისათვის, ამის დასამტკიცებლად ჩვენ ფსკერზე დაძირულ ზოგიერთ რამესაც წამოვკრავთ ხელს, რომ მზის სინათლეზე ამოვიდეს:

კერძოდ, იმ ფაქტს, რომ სპორტი ჭიათურაში ჯერ კიდევ არ არის მასობრივი, არ გამხდარა მაღაროელთა აუცილებელ მოთხოვნილებად, მათ აქტიურ დამხმარედ თავდადებულ შრომაში. მაგალითად, ლენინის სახელობის მაღაროში მომუშავე 600 ახალგაზრდიდან ფიზკულტურელია მხოლოდ 280 კაცი. ასევე ითქმის კაგანოვიჩის, დიმიტროვის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროელთა ფიზკულტურულ კოლექტივებზე. ფორმალურად არსებობენ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოსა და სატრანსპორტო განყოფილების ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც არც ერთი შეჯიბრება არ ჩაუტარებიათ, არც ერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი არ მოუმზადებიათ. კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ერთ დროს ჰქონდა კარგი ბაზა, მაგრამ იქ ავტოგარაჟი მოაწყეს, რის შედეგადაც ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა თითქმის მთლიანად ჩაიშალა. ვოროშილოვის სახელობის მაღაროში კალათბურთის მოედანს სამი წელია აშენებენ და ვერ ააშენეს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მაღაროელი ახალგაზრდები ჩვეულებრივ საერთო საცხოვრებლებში იკრიბებიან, მაგრამ აქ არსად არის სპორტული ბაზა. ფიზკულტურული და კომკავშირული მუშაკები იმის ნაცვლად, რომ გამოიჩინონ ინიციატივა ბაზების მოსაწყობად, სექციების ჩამოსაყალიბებლად, მზამზარეულ სპორტსმენებს ეძებენ — ვინმე ახალი თანრიგოსანი ხომ არ მოვიდა სამუშაოდ, რომ გუნდში შევიყვანოთო. ამ გზით სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ლენინის სახელობის მაღაროში. აქ ფიზკულტურელებმა აუშენეს სტადიონი, რომელიც თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი დაჯდა, ააგეს სასროლი ტირი, ახლა აქაური ფიზკულტურელები თავისუფალ დროს ხალისით ვარჯიშობენ თავის სტადიონზე, იმაღლებენ თანრიგს, აწყობენ შეჯიბრებებს. მალე დამთავრდება კლუბის მშენებლობა, რომლის ერთი სართული სპორტულ დარბაზს დაეთმობა, მაშინ სექციები ზამთარშიც იმეცადინებენ და 75 ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი, რომელიც აქ შეიძინეს, უქმად არ იქნება ჩაკეტილი საწყობში.

„მეტალურგის“ საქალაქო საბჭოს კრივის, ძალოსნობისა და ჭიდაობის სექციები ქალაქის ცენტრში მეცადინეობენ, მაღაროებიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. ასე, რომ მაღაროელ სპორტსმენებს პრაქტიკულად დახშული აქვთ ამ სექციების კარები, ფიზკულტურულ კოლექტივებში კი მათი სპორტული მისწრაფება სათანადო ნიადაგს ვერ პოულობს. მაღაროელ ახალგაზრდებს შორის სპორტის განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რომ გამოინახოს, აიგოს საჭირო ბაზები და სექციური მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნას ადგილებზე. ეს მეტ სიცოცხლეს შეიტანს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში.

ქალაქში სუსტად არის განვითარებული ძალოსნობა, ტანვარჯიში, ველო, სათხილამურო სპორტი, კალათბურთი, ფრენბურთი, ფარიკაობა, ჭადრაკი და სპორტის სხვა სახეობები, ამიტომ იყო, რომ ჭიათურის სპორტსმენებმა საქართველოს სპარტაკიადაზე ვერ შეძლეს სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ მეორე ჯგუფში მონაწილე კოლექტივებისათვის და უკანასკნელ ადგილზე გამოვიდნენ.

ჭიათურაში არიან სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებიც სექციებში ნაყოფიერი, რეგულარული მეცადინეობით შეძლებენ წარმატებით დაიცვან მაღაროელთა ქალაქის სპორტული სახელი რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, მაგრამ დახმარების, წახალისების, გამხნევების ნაცვლად უკანასკნელ საშუალებებს გლეჯენ ხელიდან. ნათქვამის დასამტკიცებლად ვფიქრობთ ჩვენი ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებული ეს სურათიც იკმარებს. როგორ მოხვდა ამ ჯურღმულში 10 ათასი მანეთის ღირებულების სპორტული ინვენტარი? სულ უბრალოდ: ორი წლის წინათ ნინოშვილის ქუჩაზე მოჭადრაკეებს გამოუყვეს ოთახი. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გაიღეს რემონტის ხარჯები. შეღებილ-შეკეთებული დარბაზი თვალში მოუვიდათ საქვაჭრობის წარმომადგენლებს და უბოდიშოდ დაიკავეს, მოჭადრაკეები კი კულტურის სახლში გადაიყვანეს. არც ახალ ადგილსამყოფელში გრძნობდნენ ცუდად თავს სპორტსმენები, სწავლობდნენ საჭადრაკო თეორიას, აწყობდნენ ტურნირებს, მაგრამ შემდეგ აქ ავტომძღოლთა კურსები გახსნეს. მოჭადრაკეებმა ნაჯახი დაჰკარგეს და წალდსაც ხომ არ მიაყოლებდნენ — აიღეს და საჭადრაკო ინვენტარი უკეთესი მომავლის მოლოდინში საიმედოთ გამოკეტეს ამ სარდაფში. მათი მოლოდინი უსაზღვროა და არავინ იცის როდის მოეღება ბოლო.

როგორც ვხედავთ, შავი ჭარბობს თეთრს ჭიათურის სპორტულ ცხოვრებაში. მაღაროელ ახალგაზრდებს უნდა შევუქმნათ სპორტში მეცადინეობის ნორმალური პირობები.

ჭიათურა — მოწინავეთა რიგებში უნდა იყოს!

ა. ხუჭუა

ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

* * *

დააკვირდით სურათს (მარცხნივ). აი ამ მონგრეული შენობის ქვედა სართულში ერთმანეთზე დაყრილია (სურათი ზევით) საჭადრაკო ინვენტარი.

ლენინის სახელობის მაღაროს ფიზკულტურელები (სურათი ქვევით) ი. შეყლაშვილი და დ. ბრეგვაძე მაღაროში არემონტებენ რკინიგზის ხაზს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



სსრ კავშირის პირველობა კრივში
ბაქოს ზონაში

12 თებერვალს ბაქოში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის ზონალური ტურნირი კრივში. შეხვედრები აზერბაიჯანის დედაქალაქს გარდა ტარდება რიგაში, ხარკოვსა და სვერდლოვსკში. ზონებში ყოველ წონით კატეგორიებში პირველ-მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ პირველობის ფინალში, რომელიც 5 აპრილს მოსკოვში დაიწყება.

ბაქოს სახელმწიფო ცირკის შენობაში საღამოს 7 საათზე შედგა შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენთა პარადი. 90 მოკრივეს, რომლებიც რინგის ირგვლივ იყვნენ მოწყობილნი, მიესალმა აზერბაიჯანის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. კაფაროვი. ბაქოელმა პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები გადასცეს სპორტსმენებს, და დიქტორმა რინგზე გამოიძახა პირველი წყვილი — უმძიმესი წონის მოკრივეები.

თბილისელი რ. კალაჯევი შეხვდა აზერბაიჯანის ჩემპიონს რ. მუსაელიანს. პირველი რაუნდი მოიგო თბილისელმა. იგი უფრო აქტიური და ამავე დროს სწრაფი იყო მოწინააღმდეგეზე. მეორე სამ წუთს უმნიშვნელო უპირატესობით იგებს ბაქოელი. მესამე რაუნდში ინიციატივა კალაჯევის მხარესაა. მოგება მას თითქოს უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ მსაჯები არასწორი მოძრაობისათვის აძლევენ გაფრთხილებას კალაჯევს, ეს კი უკვე საბედისწერო გამოდგა. გამარჯვება მიეკუთვნა აზერბაიჯანის ჩემპიონს. ქვემსუბუქ წონაში საქართველოს წარმომადგენელი ლ. ასატუროვი შეხვდა აზერბაიჯანის ჩემპიონს ა. ეფენდიევს. სამივე რაუნდში უპირატესობა ასატუროვის მხარეს იყო და მას მიეკუთვნა გამარჯვებაც.

პირველ ქვესაშუალო წონაში არ მონაწილეობს ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ენგიბარიანი. ამიტომ ამ წონის მოკრივეებს ფინალში მოხვედრის შანსები გაეზარდათ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა აზერბაიჯანის ჩემპიონმა ბ. ყიფიანმა. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა გამოცდილი მოსკოველი სპორტსმენი ვ. როგინი. რსფსრ-ს წარმომადგენლების ა. ხეიკმანისა და ვ. ლევინის შეხვედრაში გამარჯვება მიეკუთვნა პირველს. სომხეთის ჩემპიონმა ამ წონით კატეგორიაში ა. კეტაპიანმა ქულებით დაამარცხა უზბეკელი მოკრივე მ. ორტენბერგი.

პირველ საშუალო წონაში გაიმართა მხოლოდ ერთი შეხვედრა — აზერბაიჯანის ჩემპიონს ე. სულეიმანოვსა და ვ. სილაგაძეს (საქართველო) შორის. პირველი რაუნდი დამაჯერებლად მოიგო სილაგაძემ. ორ მომდევნო სამ წუთში უპირატესობა მასპინძლის მხარეს იყო. გამარჯვება მიეკუთვნა სულეიმანოვს.

მეტად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ქვემძიმე წონაში ვ. ბაბახანიდის (საქართველო) და სპორტის ოსტატ ე. ლანცერსის (ლატვია) გამოსვლა. პირველ-ორ რაუნდში აშკარად ბაბახანიდის უპირატესობა იყო. მესამე რაუნდში მან შეასუსტა დაცვა და მოწინააღმდეგეს რამდენიმე ძლიერი პირდაპირი დარტყმის საშუალება მისცა. მსაჯებმა გამარჯვება ლატვიელ სპორტსმენს მიაკუთვნეს. ქვემძიმე წონაში გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა. ესტონეთის ჩემპიონმა გ. პუდელმა მოუგო უკრაინელ ვ. პარშინს, ხოლო აზერბაიჯანის ჩემპიონმა მ. აბასოვმა — ბ. როდომანს (უკრაინა). მსაჯებმა მეტად საეჭვო გამარჯვება მიაკუთვნეს სომხეთის წარმომადგენელს რ. ოგანესიანს გ. ანდღულაძესთან (რსფსრ) შეხვედრაში.

როგორც ვხედავთ, პირველ დღეს ყველა წონითი კატეგორიის მოკრივეები არ იბრძოდნენ. მაგრამ გამოსულთა ნახევრისათვის პირველი წრე საბედისწერო გამოდგა, რადგან (შეჯიბრება ტარდება ოლიმპიური სისტემით) მოკრივე პირველივე წაგების შემთხვევაში ტოვებს შეჯიბრებას. საქართველოს გუნდი ჩემპიონატში წარმოდგენილია ასეთი შემადგენლობით: უმძიმესი წონა — რ. კალაჯევი, მზატე — შ. ხუდოიანი, ქვემსუბუქი — ლ. ასატუროვი, მსუბუქი — ქ. ზუბიაშვილი, ქვესაშუალო II — ე. სტეპანოვი, საშუალო I წონაში გამოდის ორი მოკრივე — ვ. სილაგაძე და გ. დარბაისელი, II საშუალო — ნ. დარბაისელი, ქვემძიმე — ვ. ბაბახანიდი, მძიმე წონაშიც ორი სპორტსმენია — ქ. ბაბახანიდი და რ. კოჩიევი. პირველ ქვესაშუალო წონაში საქართველოს გუნდს მონაწილე არ გამოუყვანია. პირველი წრის შემდეგ სამმა მოკრივემ: კალაჯევმა, სილაგაძემ და ვ. ბაბახანიდმა შეწყვიტა შემდგომი ბრძოლა.

შეჯიბრება დამთავრდება 15 თებერვალს.

ე. ასრიანი.

ბაქო, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სლალომის და სწრაფდაშვების ტრასაზე

რესპუბლიკის 1957 წლის პირველობა თხილამურებში

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). 185 სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე თხილამურებში.

შეჯიბრება დაიწყო ქალთა რბოლით 5 კილომეტრზე. თბილისის 1 გუნდის წევრმა ვ. გავამ მანძილი თანაბარ ტემპში დაფარა და ფინიშთან პირველი იყო შედეგით 23 წუთი 18 წამი. გამარჯვებულს 51 წამით ჩამორჩა ნ. ქურდოღლიანი (ბორჯომი I), მესამე ადგილი დაიკავა ბორჯომელმა ქ. ჯეირანაშვილმა — 25.26.

ვაჟთა რბოლაში 15 კილომეტრზე სტარტი აიღო 59 მოთხილამურემ, რომელთაგან დისტანცია 18 ვერ დაამთავრა. მათ შორის იყვნენ ბორჯომელი მორბენლები დ. პეტროსიანი და გ. ჯეირანაშვილი, რომლებიც შეჯიბრებიდან მოიხსნენ ტრასის დარღვევისათვის. რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მესტიელმა სპორტსმენმა ა. ჯაფარიძემ—1:04.9. მომდევნო ადგილებზე არიან ბორჯომელები ვ. ფანჯაკიძე და ნ. თვაური.

ვაჟთა სლალომში დისტანცია საკმაოდ რთული იყო. პირველ ცდაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბორჯომის 1 გუნდის წარმომადგენელს პ. კოზანაშვილს, მაგრამ მეორე ცდაში მაღალი ოსტატობა გამოავლინა გ. ხეთაგურმა, რომელმაც ორი ცდის შედეგად აჩვენა საუკეთესო შედეგი — 3.14,6. კოზანაშვილმა დაიკავა მეორე ადგილი — 3.18,8. მესამე ადგილზეა სპორტის ოსტატი მ. გავა— 3.21,8. აღსანიშნავია, რომ ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა ს. კოზანაშვილს, მაგრამ, ვინაიდან ტრასის გავლისას გამოსტოვა კარი, მან დაკარგა ჩემპიონის ტიტულის მიღების უფლება.

ქალთა შორის სლალომში კონკურენციის გარეშე იყო თბილისელი სპორტის ოსტატი ა. ფროლოვა, რომლის შედეგია 2.22,6. ჩემპიონის თანაგუნდელმა ქ. ბანდურამ აჩვენა 2.27,6. მესამე ადგილი მოიპოვა ნორჩმა ბაკურიანელმა მოთხილამურემ ლიანა გოგოლაძემ — 2.35,3.

პირველობის მეორე დღეს მოეწყო შეხვედრები სწრაფდაშვებაში როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის, 15 კილომეტრზე რბენა ორჭიდელთათვის. ორჭიდელთა შეჯიბრების პირველ სახეობაში ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა თბილისის პირველი გუნდის წევრი შ. კობახიძე — 1:04.54 და 240 ქულა მოაგროვა. 235,3 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა ჯ. წაქაძე (ბორჯომი I) — 1:06.14. მესამე ადგილი წილად ხვდა ზ. თვაურს (თბილისი I)— 1:06.59. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისის I გუნდმა. ბორჯომის 1 და II გუნდები გამოვიდნენ მეორე და მესამე ადგილზე.

კოხტა გორაზე საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. ვაჟთა ტრასის სიგრძე 1500 მეტრი იყო. საკმაოდ რთულ დისტანციაზე (სიმაღლე სტარტიდან ფინიშამდე 400 მ) პირველი გამოვიდა ს. ბარაზნოვი (გამოდიოდა პირადში). მან საკმაოდ ტექნიკურად გაიარა დისტანციის ნახევარი, მაგრამ ტრამპლინთან დაეცა და შეჯიბრება დატოვა. სტარტზეა მონაწილე № 2. პ. კოზანაშვილი (ბორჯომი I) ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მოთხილამურე, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია. შეჯიბრებას გამოაკლდა ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტი.

— სტარტზეა სპორტის ოსტატი მ. გავა (თბილისი I)! — გამოაცხადა მსაჯმა.

ოსტატმა წარმატებით, დიდი სისწრაფით გაიარა ყველა „საშიში" ზონა, მაგრამ მარცხი სწორედ იქ მოუვიდა, სადაც არავინ მოელოდა. სწრაფდაშვების მონაწილეებს უნდა დაეძლიათ ერთი ტრამპლინი, რომელიც მეორე დაღმართთან იყო მოწყობილი. სწორედ აქ ვერ შეინარჩუნა ნახტომი და დაეცა, დაიკარგა ძვირფასი დრო და ჩემპიონობის ყოველგვარი შანსი, მაგრამ გუნდის ინტერესისათვის მან მაინც დაამთავრა დისტანცია. კარგად გაიარა დისტანცია ვ. კოპტონაშვილმა (ბორჯომი I), მაგრამ მისი შედეგი გააუმჯობესა ბორჯომის მეორე გუნდის წევრმა შ. კოზანაშვილმა, რომელმაც სუფთად გაიარა ტრასა და 1.44,04-ში დაამთავრა. იგი მეორე ადგილზე გამოვიდა.

სათხილამურო სპორტის ამ რთულ და საინტერესო სახეობაში ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის I გუნდის წარმომადგენელმა ს. კოზანაშვილმა — 1.33,04. მან ეს დისტანცია საშუალოდ 58 კილომეტრის სისწრაფით გაიარა. მესამე ადგილი დაიკავა გ. ხეთაგურმა (ბორჯომი II). გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: ბორჯომი II, თბილისი I, ბორჯომი I.

სწრაფდაშვებაში ქ. ბანდურამ (თბილისი I), უკეთესი დრო 1.24,0 აჩვენა და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა. მისი თანაგუნდელი ა. მასიუკი ფინიშთან მეორე იყო. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ლ. გოგოლაძემ (ბორჯომი I) მოიპოვა მესამე ადგილი — 1.42,0.

გუნდური ჩათვლის შედეგი ასეთია— თბილისის I, ბორჯომის I და თბილისის II გუნდები.

რესპუბლიკური პირველობის მესამე დღეს ჩატარდა ხტომები 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ორჭიდელებისათვის. შეჯიბრებაზე გამოვიდნენ ბორჯომის I და II და თბილისის I გუნდები. გაიმარჯვა ზ. თვაურმა (თბ. I), რომელიც მეორე და მესამე ცდაზე 45 მ გადახტა. მან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა სტილშიც და ორჭიდში, მოაგროვა რა 446,7 ქულა, ჩემპიონი გახდა. ჯ. თვაური (ბორჯომი I) მესამე ცდით გადახტა 42 მეტრზე, ორჭიდში მოაგროვა 442,2 ქულა და მეორე ადგილზე გამოვიდა. ჯ. წაქაძე (ბორჯომი I) 424,1 ქულით მესამე ადგილზეა. მისი საუკეთესო ნახტომი 39,5 მ-ს უდრიდა.

ბაკურიანის პარკში ამ დღეს ჩატარდა შეჯიბრება ვაჟთა შორის 50 კილომეტრზე და ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში. ვაჟებს 10 კილომეტრიანი წრე 5-ჯერ უნდა შემოევლოთ. მონაწილენი სტარტს იღებდნენ ყოველი 30 წამის შემდეგ. პირველი წრე ყველაზე კარგ დროში — 39 წუთში გაირბინა ნ. თვაურმა (ბორჯომი I). მას ფეხდაფეხ მისდევდნენ თანაგუნდელი ნ. გავა და ბორჯომელი მოთხილამურეები დ. პეტროსიანი და ვ. ფანჯაკიძე. 20 კილომეტრის შემდეგ შეჯიბრების სათავეში ჩაუდგნენ დ. პეტროსიანი და ბორჯომის I გუნდის წევრი გ. ჯეირანაშვილი. პეტროსიანმა 20 კილომეტრი 1 საათსა, 17 წუთსა და 25 წამში გაიარა. ყველა წინასწარმეტყველებდა მის გამარჯვებას, მაგრამ გაუთვალისწინებელმა წინააღმდეგობამ — თხილამურის გატეხვამ სპორტსმენს ხელი შეუშალა მესამე წრის მაღალი ტემპით დამთავრებაში — თხილამურის გამოცვლაში ძვირფასი წუთები დაიკარგა. უკანასკნელ წრეზე შეჯიბრებას კვლავ ნ. თვაური ლიდერობდა, რომელმაც 3 საათსა, 29 წუთსა და 45 წამში დაამთავრა დისტანცია (1 თანრიგის შედეგი) ვ. ფანჯაკიძე ჩამორჩა 1 წუთითა და 17 წამით. დ. პეტროსიანი იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 10 კილომეტრზე რბენაში. ისე, როგორც 5 კილომეტრზე, აქაც ჩემპიონობა წილად ხვდა ვ. გავას (თბ. I) — 45.16. გამარჯვებულთან მხოლოდ 40 წამით წააგო ბორჯომის I გუნდის წევრმა ნ. ქურდოღლიანმა. (ორივე ეს შედეგი I თანრიგს უდრის). ქ. ჯეირანაშვილს (ბორჯომი I) წილად ხვდა მესამე ადგილი — 47 წუთი 51 წამი.

სამი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ იყო ბორჯომის რაიონის I გუნდი — 17 ქულა. თბილისის I კოლექტივს ჰქონდა 19 ქულა, ბორჯომის II გუნდს — 27.5 ქ.

ო. ზელაშვილი

• • •

სურათებზე: ლ. გოგოლაძე (მარცხნივ) სლალომის ტრასაზე. ს. კოზანაშვილი ამთავრებს სწრაფდაშვებას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ისევ სპორტული ფილმების შესახებ

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ფიზკულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს. იგი ჭეშმარიტად სახალხო საქმეა და საბჭოთა სპორტსმენები მთელ მსოფლიოში უძლიერესები არიან. ამიტომაც გასაგებია, რომ ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები, პიესა იქნება ის თუ ლექსი, მოთხრობა თუ კინოფილმი სპორტულ თემაზე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

სამწუხაროდ, ჩვენი კულტურის მოღვაწენი გვაკლებენ ამ სიამოვნებას. არც თუ ისე ხშირად „გვანებივრებენ" სპორტული თემატიკით. ამ სფეროში განსაკუთრებულ სიმწირეს მხატვრული ფილმების მხრივ განვიცდით. რა თქმა უნდა, მაყურებლის მოთხოვნილებებს სრულებითაც ვერ დააკმაყოფილებს სპორტულ თემაზე შექმნილი ფილმები, რომლებიც შემთხვევიდან შემთხვევამდე გაიელვებენ ხოლმე ეკრანზე. თავი დავანებოთ გამოშვებული ფილმების რიცხვს; როგორია მათი ხარისხი? მეტად მდარე. ყველა ფილმი თითქმის ერთ და იგივე ქარგაზეა აგებული, ერთი და იგივე სიუჟეტის მქონეა. ერთი სიტყვით, მეტად „ახლობლები" არიან ერთმანეთის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ქალაქში და სხვადასხვა პიროვნების მიერ არიან შექმნილნი.

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც ვიხილეთ ახალი მხატვრული კინოკომედია.

ჯერ კიდევ იანვრის პირველ რიცხვებში ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა რეკლამა, რომელიც იუწყებოდა, რომ მალე თბილისის კინო ეკრანებზე ნაჩვენები იქნებოდა ახალი მხატვრული ფილმი „შევხვდებით სტადიონზე"* და ერთი თვის (!) შემდეგ თბილისის ერთ-ერთ კლუბში დაიწყო ხსენებული ფილმის დემონსტრირება.

ფილმის შინაარსი ასეთია: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა აგრონომი (რომელიც ინსტიტუტში საუკეთესო ფეხბურთელი იყო) მიემგზავრება ერთ-ერთ კოლმეურნეობაში სამუშაოდ. აგრონომს მრავალი „დაბრკოლება" ხვდება წინ, სანამ კოლმეურნეობაში საფუძვლიანად ჩაუყრიდეს ფიზკულტურულ მუშაობას.

ფილმი მთავრდება ტრაფარეტულად — სტადიონის საზეიმო გახსნით, სადაც იმართება მატჩი. ამასთან, როგორც წესი, ფილმის გმირს, საუკეთესო აგრონომსა და ფეხბურთელს (გუნდის კაპიტანს და აუცილებლად 9 ნომერს) ამ გადამწყვეტ წუთებში გამოუჩნდება საჩქარო საქმე — ბამბის პლანტაციის ერთ ნაკვეთზე მავნე მწერი გაჩნდება, აგრონომი წამსვე აღმოჩნდება ადგილზე და გადაარჩენს ნაკვეთს. ამ დროს კოლმეურნეობის გუნდი შეხვედრის პირველ ნახევარს აგებს. გუნდის კაპიტანი მატჩის მეორე ტაიმში ჩაებმება თამაშში და კოლმეურნეობის გუნდი იმარჯვებს კიდეც.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაა ძალზე სუსტი ფილმი, რომელიც არაერთხელ გვინახავს თუ წაგვიკითხავს და რომლის შინაარსი შეიძლება თამამად მოჰყვე ფილმის დაწყებიდანვე, ისე რომ დანარჩენს არც კი დაესწრო.

საქმეს ვერ შველის ვერც უსუსური კონფლიქტები, რომელიც ვალის მოხდის მიზნითაა ჩართული სურათში, ვერც გმირების „მოსწრებული" იუმორი.

წერილის დასაწყისში გამოთქმული საყვედურები აუცილებლად საქართველოს კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიმართ იყო მიმართული. უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ეკრანებზე ისევ გამოჩნდა შესანიშნავი ქართული ფილმები, რომლებმაც გააცოცხლეს ჩვენი კინოს საუკეთესო ტრადიციები. ამ ფილმების უმრავლესობამ საერთო აღიარება ჰპოვა, როგორც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრების გარეთაც, მაგრამ რატომ არ უნდა შექმნილიყო ასეთივე სრულფასოვანი, მიმზიდველი ფილმიც ჩვენს სპორტსმენებზეც. იქნებ ჩვენს რესპუბლიკაში ამის შესაძლებლობა და მონაცემები არ არის? ჩვენ ვყავს მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები, მსოფლიო რეკორდსმენები, შესანიშნავი კალათბურთელები, ფეხბურთელები. ყველაფერი ეს უყურადღებოდ რჩება. უკანასკნელი ათი-თუთხმეტი წლის განმავლობაში ქართულ კინოსტუდიას არ გამოუშვია არც ერთი მხატვრული ფილმი სპორტსმენებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მოკლემეტრაჟიან დოკუმენტალური ხასიათის ფილმს („პამირის მწვერვალებზე", „კიდევ ერთი იერიში პამირზე", „საქართველოს სპარტაკიადა"). ამ ხარვეზების შევსებას, ეტყობა, არც უახლოეს დროში აპირებენ. არც 1957 და არც 1958 წელს გამოსაშვებ ფილმების სიაში ვერც ერთ სურათს ვერ ვხვდებით, რომელიც სპორტსმენების ცხოვრებას ასახავდეს.

რესპუბლიკის მშრომლები ჩვენი კინომუშაკებისაგან მოელიან სრულფასოვან, მიმზიდველ ფილმს, რომელშიც სპორტსმენთა საინტერესო ცხოვრება იქნება ასახული.

გ. გომართელი

---

* სცენარის ავტორი ი. კალაბინი, დამდგმელი ზ. საბიტოვი, რეჟისორი ა. კარიმოვი, ოპერატორები ი. პანი და პ. რასულევი, ტაშკენტის კინოსტუდიის გამოშვება. 1956 წ.

მამაცური საქციელი

ეს მოხდა სტანისლავის ოლქის (უკრაინის სსრ) მთიან სოფელ კოროსტაში უკრაინისა და ლიტვის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრების დროს. სლალომის სპორტსმენებმა ბავშვთა სანატორიუმის სახურავზე ცეცხლი შენიშნეს, როდესაც მათ მიირბინეს ხანძრის ადგილას, ხანძარი მეორე სართულს მოედო. სახლიდან ბავშვების ხმა ისმოდა.

კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ნიკოლოზ ბეკეტოვი და ნინა ტრაინიკოვა ლიტველ სზიმკო კვერტომსა და მწვრთნელ ალექსი როჟკოვთან ერთად შევიდნენ ალმოდებულ ოთახებში და იქიდან ბავშვები გამოიყვანეს. მალე სპორტსმენების დახმარებით ხანძარიც ჩაქრობილ იქნა.



— შემდეგ ისინი იტყვიან, რომ მხოლოდ თევზით ვიკვებებოდით.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და „ლოკომოტივის" რაიონული საბჭოს სპორტსმენებს შორის. შეჯიბრებაში ყოველ გუნდს გამოჰყავდა 6 ვაჟი და 2 ქალი.

საინტერესო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს რკინიგზელებმა — 6:4.

Ვ. ᲤᲐᲛᲘᲚᲘᲐᲜᲢᲘ

* * *

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მიწვევით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ეწვია თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სპორტული დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კალათბურთელი ვაჟები და ქალები.

თბილისელმა სპორტსმენებმა მოსკოვში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრა მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტთან (როგორც ვაჟებს, ისე ქალებს შორის). სამაგიეროდ თბილისელები დამარცხდნენ საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებთან შეხვედრაში.

Ვ. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ

* * *

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. აქ 5 დღეს მიმდინარეობდა საქალაქო პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 10 და ქალთა 5 გუნდი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა მე-3 საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე ადგილი მიეკუთვნა სპორტული სკოლის მე-3 გუნდს.

ქალთა გუნდებიდან პირველობა მოიპოვა მეორე სკოლის გუნდმა, მეორე და მესამე ადგილზე გავიდნენ მე-3 და მე-4 საშუალო სკოლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზი, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, არ თბებოდა, რაც მონაწილეთა და მაყურებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

Ა. ᲙᲠᲘᲮᲔᲚᲘ

ᲡᲘᲒᲘᲟᲔ ᲗᲣ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲔ

როცა ტორ ჰეიერდალმა თავის მეგობრებთან ერთად შეკრა „კონ-ტიკი" და გადასერა წყნარი ოკეანის ვეებერთელა სივრცე, მას მეცნიერული საკითხი აინტერესებდა, კერძოდ ის, რომ შეეძლოთ თუ არა სამხრეთ ამერიკის ძველ ინდიელებს თავისი მაშინდელი „ტექნიკით" გამგზავრებულიყვნენ ასეთ შორეულ მგზავრობაში და დასახლებულიყვნენ პოლინეზიის კუნძულებზე. მისი აზრით, სამხრეთ ამერიკის უძველეს ტომებს საამისო ძალა შესწევდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათ სულ უბრალო ლურსმანიც კი არ გააჩნდათ და ტივებს თოკითა ჰკრავდნენ.

ჰეიერდალისა და მისი მეგობრების ეს თამამი განზრახვა სიგნალი გახდა სხვებისათვის და სულ მცირე ხანში დაიწყო „ჯვაროსნული ლაშქრობა" ოკეანეზე. მაგრამ თუ „კონ-ტიკის" ეკიპაჟს წმინდა მეცნიერული მიზანი ამოქმედებდა და მისი სახელით მიდიოდა ასეთ არნახულ რისკზე, ოკეანის ბობოქარ ტალღებს თანდათან მოედვნენ გაბედული ადამიანები, რომელთა შორის დიდი უმეტესობა ან ფათერაკების საძებნელად ჰყავდა ბედისწერას ატანილი, ან სენსაციას და ავანტიურას წირავდა თავს, ან სულ უბრალოდ სურდა ორიოდე გროში ეშოვნა თავისი სიცოცხლის ფასად.

მაგალითად, ფრანგ ექიმს ალენ ბომბარს სურდა დაემტკიცებინა, რომ ადამიანი ზღვაში არ შეიძლება დაიღუპოს შიმშილით ან წყურვილით. მან ეს დაამტკიცა კიდეც. სხვა ფრანგ მოგზაურს ერიკ ბიშოფს ამჟამად გადაწყვეტილი აქვს ჰეიერდალის საწინააღმდეგო მარშრუტით გაემგზავროს ტაიტის კუნძულებიდან სამხრეთ ამერიკამდე და დაამტკიცოს, რომ წყნარი ოკეანის კუნძულების მკვიდრნი მრავალი საუკუნის წინ აქედან გადადიოდნენ სამხრეთ ამერიკაში და იქ სახლდებოდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს „ექსკურსია" ბიშოფისათვის პირველი არაა — 25 წლის წინ მან ნავით მიაღწია ჰონკონგიდან საფრანგეთის რივიერამდე.

მაგრამ არავითარი მეცნიერული საიდუმლოება არ აწუხებდა გერმანელ ექიმს ჰანს ლინდემანს, როცა მან ორადგილიანი კანოეთი დატოვა ნაპირი ლას-პალმასში (კანარის კუნძულები) და გაემგზავრა ვესტ-ინდოეთში. ატლანტის ოკეანე მან 76 დღეში გადალახა. ლინდემანი ორჯერ მოხვდა საშინელ ქარიშხალში, სამი კვირის განმავლობაში მის ფარღალალა კანოეს გამძვინვარებული ტალღები აბურთავებდა. ნავს აღარ ჰქონდა საჭე, ღუზა, დაიხა იალქანი, მაგრამ ექიმმა ლინდემანმა მაინც სძლია ოკეანეს და მიაღწია მიზანს.

ნაჭუჭებით ოკეანესთან მებრძოლთა რიცხვი თანდათან მატულობს და ამ მარათონულ გაცურვებს ბოლო ხანებში სულ უფროდაუფრო მეტი მიმდევარი უჩნდება. სხვადასხვა კონსტრუქციის ტივებზე, ნავებზე, კანოებზე ოკეანის ტალღებს ებრძვიან ერთეულები და წყვილები, ეკიპაჟები „ტრიოს", „კვარტეტისა" და „კვინტეტების" შემადგენლობით.

ერთ-ერთი ასეთი გაბედული გაცურვის ავტორია ვინმე უილიამ უილისი, წარსულში კარგი მოჭიდავე, შესანიშნავი ფიზიკური აგებულებისა და გამძლეობის სპორტსმენი, რომელმაც თავის 7 ძელისაგან შეკრულ ტივს „შვიდი და" უწოდა და 1956 წელს მასზე გადასცურა ოკეანე პერუდან სამოას კუნძულებამდე.

შემდგომში უილისმა დაწერა წიგნი, რომელსაც უწოდა „ღმერთები მოწყალენი იყვნენ". ვბეჭდავთ საინტერესო ეპიზოდებს უილისის მგზავრობიდან მისი წიგნის მიხედვით.

◆



— ეს ხალხი ალბათ დაღუპული გემიდან არიან.

— არა, მათ წაიკითხეს ტორ ჰეიერდალის წიგნი.

22 ივნისს დილის 7 საათზე უილიამ უილისი ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა.

— სენიორ უილის, უკვე დროა.

მართლაც, უკვე დრო იყო. ამ დღეს მისი ტივი „შვიდი და" ბუქსირს უნდა გაეყვანა კალიაოს პორტიდან 60 მილის დაშორებით და წყნარი ოკეანის ტალღებში დაეტოვებინა მარტოდმარტო უძნელესი გზის გადასალახავად.

გამგზავრების წინ უილისს მცირე შელაპარაკება მოუვიდა კალიაოს პორტის უფროს კაპიტან მეიტისთან. პორტის უფროსს დანიშნულების ადგილად უნდოდა პოლინეზია ჩაეწერა, მოგზაური კი სამოას კუნძულებს მოითხოვდა. ამაო იყო ძველი კაპიტნის მტკიცება, რომ ტივით შეუძლებელია პერუდან სამოამდე მიღწევა, მაგრამ უილიამი ჯიუტად მოითხოვდა თავისას. მეიტი აძულებული იყო დათანხმებოდა.

და აი, „შვიდი და" გაშლილ ოკეანეშია. ტივზე იმყოფებიან მისი კაპიტანი, შტურმანი, მატროსი — უილიამ უილისი, მეგობრების საჩუქარი შავი კატა — მიკი და მწვანე თუთიყუში — იკო. გარშემო უსასრულო, უსაზღვრო ოკეანეა, ცისფერი სივრცეა. უკან დარჩა ხალხით სავსე ნაპირი, თვალცრემლიანი მეუღლე და მეგობართა გამამხნევებელი ყიჟინა.

საშინელი გრძნობაა მარტოობა. საშინელია იგი მაშინ, როცა გარშემო წყლის უდაბნოა და შენს გვერდით მხოლოდ შეშინებული კატა იბუზება და უჭკუო ფრინველი უთავბოლოდ გაიძახის დაზეპირებულ სისულელეებს.

„დაახლოებით ერთი საათი ვიდექი საჭესთან, — წერს უილიამსი თავის წიგნში, — ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს კომპასს. შემდეგ თვალი მოვავლე ყველაფერს, რაც გარს მერტყა, — ზღვას, რუხ ცას, და მხოლოდ ახლა შევიგრძენი ცხადად, რომ მარტო ვიყავი. ვუცქერდი თუ როგორ ბობოქრობდნენ გარშემო ტალღები, როგორ ეცემოდნენ ისინი აქაფებულ ნაკადად ტივს და ხმაურით იმსხვრევოდნენ მორებზე. ტივი ირყეოდა, დროდადრო ცხვირით ეფლობოდა წყალში, მაგრამ მაინც ენერგიულად მიიკვლევდა გზას ზღვაში".

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას. ცა კვლავ შუბლშეჭმუხნული იყო, ტყვიისფერი ღრუბლები მძიმედ ეკიდა მასზე. მაგრამ ქარი ნაკლებად უბერავდა და ოკეანეც შედარებით დაწყნარებული იყო.

„შვიდი დის" ეკიპაჟს თანამგზავრთა მთელი ჯგუფი გამოუჩნდა. მას გვერდით განუწყვეტლივ მისდევდა დელფინების მთელი ხროვა. უილისი ბევრჯერ ეცადა ანკესზე წამოეგო რომელიმე მათგანი, მაგრამ დელფინები უდიდესი სისწრაფით დაჰქროდნენ გარშემო და ანკესს კი არ ეკარებოდნენ.

მალე დელფინები ზვიგენებმა შეცვალეს. ოკეანის ეს მრისხანე მტაცებლები თავხედურად ნავარდობდნენ გარშემო და შიშის ზარს სცემდნენ არა მარტო ზღვის ბინადართ, არამედ ტივის მკვიდრთაც. ერთ-ერთი მათგანი ძლიერ „დაუმეგობრდა" უილისს. იგი ისე ახლოს მიჰყვებოდა ტივს, რომ სულ იოლად შეიძლებოდა მისი მიწვდენა ხელით. უილიამმა მას მალე შეარჩია და სახელად გრძელი ტომი უწოდა. დღით თუ ღამით გრძელი ტომი თან სდევდა „შვიდ დას" და მისი ლამაზი ყავისფერი სხეული, ბასრი კბილები გამუდმებით თვალწინ ედგა უილიამს. ერთხელ, შუადღისას მეზღვაურმა მხედველობიდან დაჰკარგა ზვიგენი. შემოწმების მიზნით მან წყალში ისროლა თევზი და ზღვიდან წამსვე გაიელვა გრძელი ტომის სხეულმა. მან ჰაერშივე დაიჭირა თევზი და გაუჩინარდა.

... ეს საშინელი ისტორია უილისს დილით შეემთხვა. მან ანკესს წამოაცვა პატარა თევზი და შეუდგა დელფინის ჭერას. ტივი საკმაოდ სწრაფად მიცურავდა და ანკესმობმული თოკი ტალღებს მიჰქონდა ხოლმე. უილიამი მორის კიდეზე იჯდა და როცა ანკესი ტივს გამოედებოდა, იძულებული ხდებოდა გადახრილიყო წყალში და აეგლიჯა იგი ხიდან. ეს მეტად სახიფათო საქმე იყო, ვინაიდან გრძელ ტომს ან მის რომელიმე „ძმაკაცს" იმავე წამს შეეძლო ხელის მოკვეთა.

დელფინები კარგა ხანს არ ჩანდნენ, ამიტომ უილიამმა კიდევ უფრო ღრმად ჩაუშვა ანკესი წყალში. წუთიც არ გასულა, თოკი მძლავრად შეირხა და დაიჭიმა. ცხადი იყო, რომ მას დიდი თევზი მოედო, მაგრამ უილიამის აზრით ეს დელფინი არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან დელფინი ასეთ დროს საშინლად ბორგავს, ტრიალებს, შფოთავს, ეს კი ჯიუტად და ძლიერად ეწეოდა თოკს სიღრმისაკენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მეთევზემ თავისი ნადავლი ზევით ამოათრია.

უილისს ზვიგენი არა ჰირდებოდა, მაგრამ მას არ უნდოდა ანკესი დაეკარგა. ამიტომ მან წვეტიანი რკინით გაუხვრიტა თევზს ქვედა ყბა იქ, სადაც მას ანკესი ჰქონდა გადაყლაპული, ოდნავ დაიხარა წინ და მოადუნა თოკი. უილისი სახიფათო ადგილას იდგა — ხის მორები წყალმცენარეებით იყო დაფარული, ფეხი ცურავდა, ხოლო ტალღები დიდად აძნელებდა წონასწორობის შენარჩუნებას. მას მარცხენა ხელით რკინა ეკავა, ხოლო მარჯვენათი ცდილობდა ანკესი ამოეგლიჯა თავისი მოწინააღმდეგის გაღებული ხახიდან. ის იყო ანკესი ამოგლეჯილ იქნა და ზვიგენმაც საშინელი ძალით გაიფართხალა. უილისმა ვერ შეიკავა თავი და წყალში აღმოჩნდა. მისი მარცხენა ხელი თევზის ხახაში მოყვა და მისი ბასრი კბილები ძვლამდე ჩაესო ხორცს. განთავისუფლებული ზღვის ყაჩაღი წამსვე გაქრა.

როცა უილიამი გონს მოვიდა და წყლიდან ამოჰყო თავი, ტივი უკვე შორს იყო. ცურვით მისი დაწევა არაფრით არ შეიძლებოდა, ხოლო სხვა გამოსავალი არ ჩანდა — სიკვდილი თითქოს გარდაუვალი იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ᲝᲠᲑᲖᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘ

როდესაც ახალგაზრდა, 18 წლის მძლეოსანმა გოგონამ ტოვე ლარსენმა გააუმჯობესა დანიის რეკორდი 60 მეტრზე რბენაში, ყველა აღტაცებაში მოვიდა. ლარსენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ სპეციალისტები. მალე ნიჭიერმა მძლეოსანმა მეორე დიდ წარმატებას მიაღწია. მან თავის სპორტულ ბიოგრაფიაში კიდევ ერთი ნაციონალური რეკორდის გაუმჯობესება ჩაწერა — ამჯერად 800 მეტრზე რბენაში. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გოგონას ამოარჩია ახირებული და თავშეუკავებელი სიყვარული არა მძლეოსნობისადმი, არამედ... ცეკვისადმი. ლარსენმა ული ვარჯიშს სტადიონის ბილიკებზე და გაათკეცებული ენერგიით დაიწყო ვარჯიში ცეკვაში. შედეგმაც სულ მალე იჩინა თავი. ლარსენმა აღელვით მოიგო თავის ქვეყნის [illegible] ჩემპიონატი „მოცეკვავეთა მარათონი".

სამწუხაროდ მისი სპორტული მიღწევები იმდენად გაურკვეველი, რომ [illegible] დანიის ოლიმპიურ გუნდში ვერ მოხვდა და, მაშასადამე, ვერ შეიძინა სანუკვარი ოქროს [illegible] — [illegible]. ამ დროს [illegible] ლარსენის [illegible] „საცეკვაო მარათონში" სვადა. უნდა ითქვას, რომ აქ მან მეორე მოიგო შეჯიბრება.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲣᲖᲣᲚᲐᲕᲐ

„ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲡ" ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ამას წინათ გაზეთ „სპორტულ პოპულარის" ფურცლებზე გამოქვეყნდა რუმინეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ბოგზარიანის წერილი გასული წლის სპორტული შედეგების შესახებ.

წერილში ლაპარაკია რუმინელ სპორტსმენთა მიერ ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული წარმატებების შესახებ. აქ ხუთმა რუმინელმა სპორტსმენმა მოიპოვა ოქროს მედალი, სამმა — ვერცხლისა და ხუთმა — ბრინჯაოსი. შემდეგ წერილში ლაპარაკია რესპუბლიკაში სპორტის მასობრიობის შესახებ.

დემოკრატიულ ქვეყნებში

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ახალგაზრდობის დიმიტროვის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, სამამულო ფრონტის ნაციონალურმა საბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, ფიზკულტურისა და სპორტის ბულგარეთის კომიტეტმა და კულტურისა და სახალხო განათლების სამინისტროებმა დაამუშავეს ახალგაზრდობის მსოფლიო VI ფესტივალში ბულგარეთის ახალგაზრდობის მონაწილეობის ერთიანი პროგრამა, რომლის თანახმად აპრილში მოეწყობა რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფესტივალი.

ᲩᲘᲜᲣᲠᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ნაციონალურ ჭადრაკს ჩინეთში. კლასიკურ ჭადრაკთან ერთად, რომლის დანერგვა არც ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო, რესპუბლიკის სპორტულ კლასიფიკაციაში შეტანილია ნაციონალური ჭადრაკიც.

დეკემბრის ბოლოს პეკინში თავი მოიყარეს რესპუბლიკის 32 ქალაქის ჩემპიონებმა ნაციონალურ ჭადრაკში, რათა მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთის პირველ ჩემპიონატში.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ ფინალში გავიდა 6 სპორტსმენი, რომლებმაც პირველი ადგილი გათამაშეს წრიული სისტემით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის წოდება მოიპოვა ცნობილმა მოჭადრაკემ კანტონელმა იან გუან-ლინმა, რომელმაც მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა მეორე ადგილზე გამოსულ ახალგაზრდა ხარბინელ ვან ცზია-ლინთან. მესამე ადგილი წილად ხვდა 19 წლის ხანჯოუელ ლუი ძ-ის.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, 3-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, წარმოებისა და გამომცემლობის — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

უე 01342